საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება №35

2022 წლის 31 ოქტომბერი

ქ.თბილისი

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1.
„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016001) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი 12-ით დამტკიცებული „საერთო სასამართლოს მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქართველოს პარლამენტის/საქართველოს პრეზიდენტის მიერ არჩეული/დანიშნული წევრისათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. საერთო სასამართლოს მოსამართლის ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინების შემთხვევაში სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვრება დღეში 30 ლარის ოდენობით.“.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 29 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი
საბჭოს მდივანი **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**